ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №675696

ნომერი: AR1119268

თარიღი : 23.04.2013

გაცემის თარიღი : 07.05.2013

გაცნობის თარიღი : 07.05.2013

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , სოფელი დიღომი ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- თეიმურაზ იაკობიშვილი პ/ნ 01024002828
- თბილისი ს.ზაქარიაძის ქ. N 10 ბ. 7

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის 19 ოქტომბრის #397932 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურს 2013 წლის 25 მარტს #AR1119268 განცხადებით მომართა მოქ. თეიმურაზ იაკობიშვილმა და მოითხოვა სამსახურის 2012 წლის 19 ოქტომბრის #397932 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანა საპროექტო მიწის ნაკვეთის ფართობის, საკადასტრო კოდისა და განაშენიანების ინტენსივობის მაქსიმალური კოეფიციენტის გაზრდასთან დაკავშირებით.

სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის თანახმად შეისწავლა საქმესთან დაკავშირებული გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის 19 ოქტომბრის #397932 გადაწყვეტილებით ქ. თბილისში, სოფელ დიღომში მრავალფუნქციური შენობის (სასაწყობე, საოფისე, კომერციული) ასაშენებლად გაიცა სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის

გამოყენების პირობები. აღნიშნული ინდივიდიალური ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტი გაცემული იქნა 1200 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე საკადასტრო კოდით: 01.72.14.019.347. განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით (საჯარო რეესტრის ამონაწერისა და საკადასტრო გეგმის რეგისტრაციის #882013096186; მომზადების თარიღი: 25.03.2013წ; საკადასტრო კოდი: 01.72.14.019.354) ირკვევა, რომ საპროექტო მიწის ნაკვეთის ფართობი გაზრდილია და დღეის მდგომარეობით შეადგენს 2300 კვ.მ.–ს საკადასტრო კოდით: 01.72.14.019.354. ამასთან, ქალაქ თბილისის მერის #606 (02.04.2013წ.) განკარგულების საფუძველზე მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის მაქსიმალური კოეფიციენტი განისაზღვრა კ-2=0,9;

„მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების თანახმად სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში უნდა აისახოს კანონმდებლობით, მათ შორის ამ დადგენილებით განსაზღვრული ის სავალდებულო მოთხოვნები, რომლებიც აუცილებელია მშენებლობის განხორციელების დოკუმენტების პროექტების შემუშავებისათვის.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდესის 63-ე მუხლის თანახმად ადმინისტრაციულ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია ცვლილება შეიტანოს ზემოაღნიშნულ სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში საპროექტო მიწის ნაკვეთის ფართობის გაზრდის, საკადასტრო კოდის შეცვლასა და განაშენიანების ინტენსივობის მაქსიმალური კოეფიციენტის გაზრდასთან დაკავშირებით.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

ვბრძანებ

1. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის 19 ოქტომბრის #397932 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში, კერძოდ: საპროექტო მიწის ნაკვეთის ფართობად დაფიქსირდეს 2300 კვ.მ. და საკადასტრო კოდად მიეთითოს №01.72.14.019.354.;

2. ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის 19 ოქტომბრის #397932 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებს დაემატოს განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი ამონაწერი საჯარო რეესტრიდან და საკადასტრო გეგმა (საჯარო რეესტრის ამონაწერისა და საკადასტრო გეგმის რეგისტრაციის #882013096186; მომზადების თარიღი: 25.03.2013წ; საკადასტრო კოდი: 01.72.14.019.354) და ქალაქ თბილისის მერის 2013 წლის 02 აპრილის #606 განკარგულება;

3. აღნიშნული ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის 19 ოქტომბრის #397932 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებთან ერთად;

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.